

ქეთევან ჯაში

რომანული
ისტორიული
ენათმეცნიერება

თავი I. რომანული ენების ჩამოყალიბების ისტორიული პირობები

რომანული ენების ზოგადი დახასიათება. რომანული ენების სოციოლინგვისტური ასპექტები. რომანული ენების კლასიფიკაციის პრობლემები.

რომანული ენები ენათა ჯგუფია, რომელთაც საერთო წარმოშობა აქვთ. ისინი ლათინური ენიდან უფრო სწორედ ხალხური, სასაუბრო ლათინურიდან წარმოიშვა. რომანულ ენებზე მეტყველებს ესპანეთის, იტალიის, პორტუგალიის, რუმინეთის, საფრანგეთის, მოლდავეთისა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა. ასევე რომანული ენებზე ლაპარაკობენ ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში. ესენია: არგენტინა, ბრაზილია, კუბა, მექსიკა, პერუ და ა.შ. რომანული ენები სახელმწიფო ენებია აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოში. ის რომ მათ საერთო წარმოშობა აქვთ, ვლინდება ამ ენებში მსგავსი ფორმების არსებობით, რომლებიც ეტიმოლოგიურად ლათინურ ენას უკავშირდება. მაგალითად : ლათინურად-սუს- ერთი, habere-ქონება, homo-ადამიანი; ფრანგულად-უნ, une, avoir, home; ესპანურად-უნ(ო), una, haber, hombre; იტალიურად-უნი, una, avere, uomo; პორტუგალიურად-უმ, uma, haver, homem; რუმინულად-უნ(უ), una, a avea, om; მოლდავურად-უნ(უ), una, a avia, om.

რა თქმა უნდა თითოეულმა ენამ გარკვეული ფონეტიკური თუ მორფოლიგიური ცვლილება განიცადა, რომლებმაც სახე უცვალეს სიტყვათა ფორმებს, მაგრამ მათი კავშირი ლათინურ ენასთან უდავოა. ამ ენების ნათესაური კავშირი მტკიცდება იმითაც, რომ მათ თავიანთ სტრუქტურაში ასახეს ცვლილებები, რომლებსაც ხალხურ ლათინურში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადგილი ჰქონდა. რომანული ენები ახალი ინდოევროპული ენების ერთ-ერთი დიდი ჯგუფია, რომლებიც ძველი ინდოევროპული ენის კერძოდ, ლათინურის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ.

ჩვ. წთ.-ით V-VI საუკენეებში, ძველი რომაელი ისტორიკოსების ნაშრომებში გვხვდება ტერმინი « რომანია », Roma-რომი ლათინურად, აქედან გაჩნდა სახელწოდება რომანული ენები. ასე აღინიშნებოდა ტერიტორიები, რომლებიც რომის შემადგენლობაში შედიოდა. შემდეგ გამოიყენებოდა ტერმინი « ძველი რომანია ». ლათინოამერიკული სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ « ძველი რომანიის » ნაცვლად გაჩნდა ტერმინი « ახალი რომანია ». სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი « რომანია » აღნიშნავს ქვეყნებს, სადაც რომანული ენებია გავრცელებული. ეს ტერმინი პირობითია და არ აღნიშნავს რომანული ენების ქვეყნების არც ტერიტორიულ და არც პოლიტიკურ გაერთიანებას.

რომანული ენების რაოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით საკითხი სადაც რჩება. დღეს ყველაზე სანდო კრიტერიუმად ითვლება ენობრივი ერთეულის სოციოლინგვისტური სტატუსი. ამის მიხედვით გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს:

1. ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, იტალიური, რუმინული, მოლდავური-სახელმწიფო ენებია;
2. მოლდავური, რეტორომანული, კატალონური, გალიციური-ენები, რომლებიც ფედერაციებსა ან ავტონომიურ ოლქებში გამოიყენება;
3. პროვანსალური (ოქსიტანური) ენა. მას არ გააჩნია სოციო-ლინგვისტური სტატუსი, მაგრამ აქვს მდიდარი კულტურული, ლიტერატურული და ისტორიული ტრადიციები ;
4. სარდინიულ-ისტორიულ-ეთნიკური ჯგუფის ენა, რომელიც გამოირჩევა თვისი კულტურის მკვეთრად გამოხატული თავისებურებებით.

რომანულ ენებს განეკუთვნება ასევე გამქრალი დალმატიური ენა. არსებობს ასევე რომანული მეტყველების სახესხავობები, რომელთა ლინგვისტურ სტატუსზე ვერ შეთანხმდნენ მეცნიერები. ესაა: გასკონური, ფრანკო-პროვანსალური, არუმინული, მეგლენიტური და ისტრორუმინული ენები, რომლებსაც ზოგჯერ დიალექტებად მიიჩნევენ. ესპანურის, პორტუგალიურისა და ფრანგულის საფუძველზე გაჩნდა კრეოლის ენები. ეს ენები წარმოიქმნა ფრანგულის, ესპანურისა და პორტუგალიურის ადგილობრივი ტომების ენებთან შერევით აფრიკასა და ანტილის კუნძულებზე. მათი ჩართვა რომანული ენების ჯგუფში სადაცა. მათ პერიფერიული ადგილი უკავიათ. ჩრდილო აფრიკაში, მცირე აზიაში ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და თურქეთში ცხოვრობს ებრაელების ნაწილი, რომლებიც საუბრობენ სეფარდულ ენაზე. ისინი პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალხების ჩამომავლები არიან (XV საუკუნის ბოლო). სეფარდული ენა ახლოს არის ესპანურთან, მაგრამ განსხვავდება მისგან არქაული ფორმებითა და ახალი წარმონაქმნებით, რომლებიც სხვა ენების (იმის მიხედვით თუ სად ცხოვრობენ სეფარდები) ზეგავლენით გაჩნდა.

რომანული ენების სოციოლინგვისტური ასპექტები. მსოფლიო ენებს შორის რომანულ ენებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დაახლოებით 500 მილიონი ადამიანი საუბრობს რომანულ ენაზე, ანუ მსოფლიო მოსახლეობის (5 მლდ. ადამიანი) 1/10-ზე მეტი. ბევრი რომანული ენა საერთაშორისო ორგანიზაციების, კონგრესებისა და კონფერენციების ენა გახლავთ.

პორტუგალიური ენა გავრცელებულია პორტუგალიაში (10 მლნ. ადამიანი), თავისი კუნძულებით აზორის კუნძულებზე, მადეირასა და ბრაზილიაში (132 მლნ. ადამიანი). აზიაში, სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე მდებარეობს კუნძული მაკაო,

სადაც ოფიციალური ენა პორტუგალიურია. ბრაზილიის პორტუგალიური განსხვავდება პორტუგალიის პორტუგალიურისაგან წარმოთქმით. თავისებურებებია ასევე ლექსიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში. პორტუგალიურის ბრაზილიურ ვარიანტში სიტყვის ბოლოს ვოკალიზაციის ტენდენცია შეიმჩნევა. მაგალითად : *meu*-თაფლი, Brasil [brasiu]-ბრაზილია. ნაცვლასახელის ფორმა *vos* ჩანაცვლებულია ფორმით *vôces*. უპირო გამოთქმებში გამოიყენება ზმნა *ter* და არა *haver*, როგორც პორტუგალიის პორტუგალიურ ენაში. ბრაზილიურ პორტუგალიურში გამოიყენება ადგილობრივი ინდიელთა ენებიდან და აფრიკული ტომების ენებიდან ნასესხები ფორმები. ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში ოფიციალური ენა პორტუგალიურია. ესენია : ანგოლა, მოზამბიკი, გვინეა-ბისაუ, კაბო ვერდე, სან-ტომე და პრინციპი.

ესპანური ენა ოფიციალური ენაა ესპანეთში (38 მლნ. ადამიანი). მას მიეკუთვნება ასევე ბალეარის კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში, კანარის კუნძულები ატლანტიკის ოკეანეში. ოფიციალურად მას კასტილიურ ენას უწოდებენ. ესპანური ენა კატალონურ და ფრანგულ ენებთან ერთად ოფიციალური ენაა ანდორრაში (ადმოსავლეთ პირენეები, მასზე საუბრობს 30 მლნ. ადამიანი). იგი ოფიციალური ენაა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ესენია : არგენტინა, ბოლივია, ვენესუელა, გვატემალა, პონდურასი, კოლუმბია, კოსტა-რიკა, კუბა, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, დომინიკანის რესპუბლიკა, პარაგვაი, პერუ, პუერტო-რიკო, სალვადორი, ურუგვაი, ჩილე, ეკვადორი. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 240 მლნ. ადამიანია. ესპანური ენის მატარებლები აშშ-იც ცხოვრობენ. ლათინური ამერიკის ქვეყნების ესპანური ცოტათი განსხვადება ესპანეთის ესპანურისაგან ფონეტიკით, ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებებით. მაგალითად : კასტილიურის ინტერდენტალური თანხმოვანი [θ] ლათინური ამერიკის ესპანურ ენაში შეესაბამება ნაპრალოვან თანხმოვანს [ʃ], რის გამოც ლათინოამერიკულ ესპანურში წარმოთქმის თვალსაზრისით არ განსხვავდება სიტყვები *caza*- ნადირობა და *casa*-სახლი. ასევე ლათინოამერიკულ ესპანურში არსებობს გრამატიკული არქაიზმები, მაგალითად : *la calor*-სითბო, კასტილიურის *el calor*-ის ნაცვლად. ხმარებიდან ამოღებულ იქნა მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელი ვოსოტროს. ლექსიკაში გამოიყენება ინდიელთა ენებიდან ნასესხები სიტყვები, სემანტიკური ნეოლოგიზმები, სიტყვები, რომელთა საწყისი მნიშვნელობაც შეიცვალა. ესპანური ენა არსებობს სხვადასხვა ნაციონალური ვარიანტების სახით. ესპანური ენა ოფიციალურ ენად ითვლება ეკვატორულ გვინეაში. გაეროში ესპანური ენა ერთ-ერთ სამუშაო ენაა.

კატალონური ენა ერთ-ერთი რეგიონალური ენაა ესპანეთში. კატალონელები (6 მლნ. ადამიანი), ცხოვრობენ კატალონიაში, ნაწილობრივ ვალენსიასა და არაგონში, ასევე ბალეარის კუნძულებზე. ოთხივე ოლქშია მიიღო ავტონომიის სტატუსი. კატალონური ენა, ესპანურ და ფრანგულ ენასთან ერთად ითვლება

ოფიციალურ ენად ანდორრაში. კატალონურ ენაზე მეტყველებს საფრანგეთის დეპარტამენტის აღმოსავლეთ პირენეებში მცხოვრები ხალხი (ძირითადად რუსილიონის ყოფილ ოლქში), ასევე კუნძულ სარდინიაზე, ქალაქ ალგეროში, რომელიც ესაანეთს ექუთვნის. კატალონელები ღრმა ეროვნული ტრადიციების მატარებელი ხალხია. ხელოვნების ისტორიაში ცნობილია XIV-XV საუკუნეების კატალონური ფერწერის სკოლა. კატალონურ ენაზე შექმნილია ლიტერატურული ნაწარმოებები. დღეს გამოდის დიდი კატალონური ენციკლოპედია. კატალონური ენა ისწავლება სკოლებში. კატალონურ ენაზე გამოდის გაზეთები. იბეჭდება ორენოვანი ლექსიკონები. საფრანგეთში, მონაცელიეს უნივერსიტეტში სპეციალური კათედრაა, სადაც კატალონური ენა ისწავლება და იგი შესაბამისს კვლევებს ატარებს კატალონური ენის შესახებ.

გალიციური ენა ერთ-ერთი რეგიონული ენაა ესპანეთში. ამ ენაზე მეტყველებენ გალიციელები (3 მლნ. ადამიანი), რომლებიც ცხოვრობენ იბერიის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, პორტუგალიის საზღვართან. გალიციას ავტონომიის სტატუსი აქვს. გალიციური თავისი სტრუქტურით ახლოსაა პორტუგალიურთან. გალიციური ენა ფუნქციონირებს ესპანური ენის გარემოცვაში და მისი განვითარება მიმდინარეობს დამოუკიდებლად. XII-XIII საუკუნეებში გალიციურ ენაზე შექმნილ იქნა მდიდარი პოეზია. გალიციის მიერ ავტონომიური სტატუსის მოპოვება ხელს უწყობს გალიციური ენის სოციალური პრესტიჟის ამაღლებას. XX საუკუნეში იყო მცდელობა გალიციურ ენაზე აედორძინებინათ ლიტერატურა, მაგრამ ამას დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

ფრანგული ენა ოფიციალური ენაა საფრანგეთში (60 მლნ. ადამიანი). ბელგიაში (მოსახლეობის 42% საუბრობს ფრანგულად), ლუქსემბურგში, და საფრანგეთის შეერთიანები (18%), მონაკოში (12 ათასი ფრანგია). ფრანგული ენა ოფიციალური ენაა ესპანურსა და კატალონურთან ერთად ანდორრაში (4 ათასი ფრანგი). კანადაში კერძოდ, კვებელში ფრანგულად საუბრობენ (7 მლნ. ადამიანი). ფრანგოფონულ ქვეყნებში ფრანგულ ენას ფონეტიკისა და ლექსიკის დონეზე გააჩნია თავისებურებები. უკროპულ ვარიანტში ეს თავისებურებები ნაკლებად იჩენს თავს. უფრო მკვეთრი განსხვავებაა ამ მხრივ კანადურ ფრანგულში. ფრანგული ენა სახელმწიფო ენაა 13 აფრიკულ სახელმწიფოში. ესენია : ბენინი, ბურკინა-ფასო, გაბონი, გვინეა, ზაირი, კონგო, კოტ დ'ივუარი, მალი, ნიგერი, სენეგალი, ტოგო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი. ამ ქვეყნებში ფრანგულზე გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ენები, რაც ვლინდება წარმოთქმაზე. ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ალჟირი, მაროკო, ტუნისი, ფრანგული ენა არაბულ ენასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ფრანგული ენა ოფიციალური ენაა პარტიის დასავლეთ ნაწილში. ფრანგულ ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობა შეადგენს 100 მლნ. ადამიანს. ფრანგული ენა ერთ-ერთი ოფიციალური ენაა გაეროში.

პროვანსალური (ანუ ოქსიტანური) ენა. მასზე სამხრეთ საფრანგეთში 8 მლნ. ადამიანი ლაპარაკობს. შუა საუკუნეებში მას უწოდებდნენ “la langue d’oc”, (oc-დამადასტურებელი ნაწილაკია, ისევე როგორც “la langue d’oil”-ში, ოილ-იც ნიშნავდა “დიასტას”). პროვანსში, საფრანგეთის ერთ-ერთ რეგიონში, საუბრობენ ოქსიტანური ენის პროვანსალურ დიალექტზე. პროვანსალური ენა თავისი სტრუქტურით ახლოსაა კატალონურთან. პროვანსალური ენის დიალექტია გასკონური, რომელიც ხასიათდება მნიშვნელოვანი თავისებურებებით, რითაც ის განსხვავდება სხვა დიალექტებისაგან და საშუალებას აძლევს ზოგიერთ ლინგგისტს მოცემული ენა რომანული ენების ჯგუფში განათავსოს. ოქსიტანური როგორც სასაუბრო ენა გამოიყენება საფრანგეთის სოფლების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კერძოდ, გასკონიაში. მისი გავრცელების ზონა შემოიფარგლება ჩრდილოეთში მდინარე გარონით ქალაქ ტულუზამდე, დასავლეთში ატლანტიკის ოკეანით, სამხრეთით კი პირენეებით. საფრანგეთში ცხოვრობენ არარომანული წარმოშობის ხალხები. უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში ატლანტიკის პირენეების დეპარტამენტის დასავლეთ ნაწილში. ესენია ბასკები. ბრეტანის ნახევრაკუნძულზე ცხოვრობენ ბრეტონელები, კელტების შთამომავლები. ბასკური და ბრეტონული ენები არარომანული წარმოშობის ენებია. ბრეტონულ ენაზე საუბრობს 1 მლნ ბრეტონელი. ბელგიასთან მიმდებარე ტერიტორიებზე ცხოვრობენ ფლამანდიელები. ელზასსა და ლოტარინგიაში ლაპარაკობენ გერმანული ენის დიალექტზე. ხოლო კუნძულ კორსიკაზე-კორსიკულ ენაზე, რომელიც იტალიური ენის დიალექტია.

იტალიური ენა ოფიციალური ენაა იტალიაში. მასვე ეპუთვნის კუნძულები სარდინია და სიცილია (59 მლნ. ადამიანი). მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უამრავი იტალიელი ემიგრანტია, რომელთათვისაც ყოველდღიური ურთიერთობის ენად იტალიური რჩება. იტალიურზე ლაპარაკობენ იტალიურ შვეიცარიაში (1 მლნ. ადამიანი). ის აგრეთვე ოფიციალური ენაა აპენინის ნახევარკუნძულზე განთავსებულ სახელმწიფოში სან-მარინო. კორსიკის ერთი ნაწილისათვის იტალიური ენა მშობლიურ ენად რჩება, თუმცა იგი სახელმწიფო ენას არ წარმოადგენს. არსებობს სარდინიული ენა (ან სარდიული), რომელზეც სარდინიელები (1,5 მლნ. ადამიანი) ლაპარაკობენ. ის იტალიური ენის ზეგავლენას განიცდის.

რეტორომანული ენები. ალპების მთიან ზონაში, ადამიანები სარგებლობენ ენით, რომელიც რომანული ტიპისაა. ეს რომანული კილოკავები ერთმანეთის ახლო მდებარე ტერიტორიებზე გამოიყენება და ამიტომაც, მათ შორის არსებობს მსგავსი ნიშნები. ისინი იყოფა სამ ჯგუფად: დასავლეთის (შვეიცარიის კანტონი გრაუბიუნდენი), ცენტრალური (ყოფილი ავსტრიის ტიროლი, თანამედროვე იტალიური ოლქები ტრენტინო და აჯიჯე) და აღმოსავლეთის (იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქი, ძირითადად ფრიული, ნაწილობრივ ვენეტო) ენები.

რეტორომანულ ენას (ვიწრო გაგებით), ნაციონალური ენის სტატუსი აქვს შვეიცარიაში ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებთან ერთად. რეტორომანულ ენას არ გააჩნია ერთიანი ლიტერატურული ნორმა და არსებობს 5 ან 6 ლიტერატურულ ვარიანტში, რომელსაც გააჩნია თავისი ორთოგრაფიული, ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებანი. ხოლო ტიროლისა და ფრიულის ენები, სხვა სახელმწიფოს, კერძოდ, იტალიის შემადგენლობაში შედის და იტალიური ენის ზეგავლენას განიცდის. ტიროლის კილოკავებმა განვითარების მანძილზე ავსტრიული გერმანულის ზეგავლენა განიცადა.

რუმინული ენა რუმინეთის სახელმწიფო ენაა (22,8 მლნ. ადამიანი, 88% რუმინელები). ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებობს აღმოსავლეთ-რომანული ტიპის მეტყველების სამი სახესხვაობა: არუმინული, მეგლენიტური, ისტრორუმინული. მათ უწოდებენ ბალკანო-რომანულ ან სამხრეთ დუნაის კილოკავებს.

მოლდავური ენა სახელმწიფო ენაა მოლდავეთში (2,6 მლნ. ადამიანი). მოლდავური ძალზე ჰგავს რუმინულს. ახლომონათესავე ენათა რუმინულისა და მოლდავური ენების ისტორიული განვითარების პირობები განსხვავებულად ჩამოყალიბდა, რის შედეგადაც მოლდავური ენა დამოუკიდებელი ეროვნული ენა გახდა. მოლდავურ ენაზე არსებობს მდიდარი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, იბეჭდება მრავალი უურნალ-გაზეთი. მოლდავური ენა ფართოდ გამოიყენება მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

კრეოლის ენები. ამერიკის აღმოჩენა (1492 წ.), ბევრი ევროპელის ამერიკაში გადასახლების მიზეზი გახდა. მუშა-ხელის ნაკლებობის გამო აფრიკიდან შემოჰყავდათ ზანგები. მათ თავიანთი ენა ჰქონდათ, არ ფლობდნენ დამპყრობთა ენას. საჭირო იყო შექმნილიყო შუამავალი ენა. ყოველ შემთხვევაში ამ როლს რომელიმე ევროპული ენა ასრულებდა. დაიწყო ფრანგულის, ესპანურისა და პორტუგალიურის ათვისების მასობრივი პროცესი. ენების აღქმა ხდებოდა სმენით, ყოველგვარი სწავლების გარეშე. ბერების წარმოთქმა ხდებოდა მათი ენების საარტიკულაციო აპარატისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შესაბამისად. გაჩნდა დამტვრეული ენა, ანუ ენა პიჯინი. ასე ნასწავლი ენებით დამპყრობლები ახერხებდნენ დაპყრობილებთან ურთიერთობას. ეს ენები ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალება იყო, ისინი გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მათ უწოდებენ კრეოლის ენებს. თვით ტერმინის « კრეოლი » გტიმოლოგია უცნობია. ვარაუდობენ, რომ ის ადგილობრივ ინდიელთა ენიდანაა წარმოქმნილი. პირველად ის ესპანურ ტექსტში XVI საუკუნეში იყო ნახსენები. შემდგომში კრეოლებს უწოდებდნენ ევროპული წარმოშობის ადამიანებს, რომლებიც ამერიკაში დაიბადნენ. მოგვიანებით კი ზანგებს, რომლებიც ამერიკაში დაიბადნენ და აფრიკული წარმომავლობა ჰქონდათ. ზოგ ქვეყანაში

დღეს კრეოლებად იწოდება ადგილობრივი მოსახლეობა, რათა თავი იმიგრანტებისაგან გამოარჩიოს.

ლიტერატურული რომანული ენების ცნება. ლიტერატურული ენა ენის ის სტილისტური სახესხვაობაა, რომელიც ადიარებულია მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ, როგორც სწორი მეტყველების ეტალონი. ლიტერატურული ენა ლიტერატურული ნორმის არსებობას გულისხმობს. ლიტერატურული ენის ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივია, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ხდება. ამასთან დაკავშირებით არსებობს სამი მოსაზრება: 1. ლიტერატურული ენა ფორმდება მანამ სანამ მოხდება მისი წერილობითი ფიქსაცია (ფოლკლორში); 2. ნებისმიერი წერილობითი ფიქსაცია, მათ შორის დოკუმენტები, თარგმანები და ა.შ. არის ლიტერატურული ნორმის ასახვა; 3. ლიტერატურული ენის შესახებ საუბარი შეიძლება მაშინ, როდესაც ჩნდება ისეთი ძეგლები, რომლებშიც ნორმირების ტენდენცია არსებობს. პირველი ლიტერატურული ძეგლი საფრანგეთში იყო «სიმღერა როლანდზე» (XI ს.), პროვანსალურიტრუბადურების პოეზია (XI-XIII), ესპანეთში «სიმღერა ჩემს სიდზე» (XII), პორტუგალიაში პორტუგალიურ-გალიციურ-ლირიკული და სატირიკული პოეზიის კრებული (XII-XIV), იტალიაში-სიცილიური სკოლის პოეტთა ნაწარმოებები (XIII). ლიტერატურული ენის ცნება არ ემთხვევა მხატვრული ლიტერატურული ენის ცნებას, თუმცა ეს თანაფარდი ცნებებია და ერთად მოქმედებს. მხატვრული ლიტერატურის ცნება უფრო ფართოა. ის გულისხმობს გამოხატვის ინდივიდუალური საშუალებების გამოყენებას, დიალექტის ელემენტების, ხალხური ფორმებისა და გამოთქმების გამოყენებას, რიმლებიც ლიტერატურული ენის ნორმებს სცილდება. ამას გარდა, გამოჩენილ მწერლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ლიტერატურული ენის განვითარებაში. ლიტერატურული ენის ნორმირება დაკავშირებულია წერით და ზეპირ მეტყველებაში ენობრივი გამოხატვის საშუალებების უნიფიცირებით. ლიტერატურული ენის ჩამოყალიბების ისტორიულ-სოციალურმა ფაქტორებმა შეიძლება რამდენიმე ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებამდე მოგვიყვანოს, რასაც ადგილი ჰქონდა შვეიცარიაში. რაც შეეხება რომანული ენების ეროვნულ ვარიანტებს (ესპანურს, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, პორტუგალიურს ბრაზილიაში, ფრანგულს კანადაში), ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ლიტერატურული ნორმასთან მიმართებაში ისინი თავისებურებებით გამოირჩევა. რომანული ენების ლიტერატურული ნორმის ჩამოყალიბების გამომუშავებაში თავისი წვლილი გრამატიკოსებმა, ლექსიკოგრაფებმა, ენის თეორეტიკოსებმა და ასევე სხვადასხვა რომანულენვან ქვეყნებში შექმნილმა აკადემიებმა შეიტანეს.

დიალექტების შექმნა. შუა საუკუნეებში ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ საუკეთესო პირობები შექმნა დიალექტების შესაქმნელად. ყველაზე მეტი დიალექტი არსებობს იტალიასა და საფრანგეთში. ჯერ კიდევ დანტეს დროს 14

დიალექტი და 1000 კილოგავი არსებობდა. ლიტერატურული იტალიური ენის ჩამოყალიბებაში არსებითი როლი ფლორენციის (ტოსკანურმა) დიალექტმა ითამაშა, რომელიც სამი უდიდესი პოეტისა და აღორძინების ეპოქის პუმანისტის მშობლიური დიალექტი იყო. ესენი იყვნენ: დანტე, პეტრარკა, ბოკაზო. ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ XIV-XVI-საუკუნეების იტალიაში. შუასაუკუნეების დიალექტების (ნორმანდიული, პიკარდიული, ვალონური, ლოტარინგიული, ბურგუნდიული, შამპანურის და სხვ.) ნაწილობრივ ადგენა, რომლებიც საფრანგეთში იყო გავრცელებული, შესაძლებელია ჩვენამდე მოღწეული ტექსტების მეშვეობით. მათი ზეპირი ფორმა ჩვენთვის უცნობია. XIII საუკუნიდან პარიზის როგორც სახელმწიფო დედაქალაქის როლი მნიშვნელოვნად იზრდება. იმ დროიდან ფრანგული ლიტერატურული ენის განვითარება მიმდინარეობს პარიზისა და ილ-დე ფრანსის მეტყველების გავლენით. ძველი პროვანსალური ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება სხვადასხვა დიალექტების ზეგავლენით მოხდა. ლიტერატურული ესპანური ენა კასტილიური დიალექტის საფუძველზე აღმოცენდა. XV საუკუნეში პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბორი გახდა და სამხრეთის დიალექტი ჩანაცვლებულ იქნა სამხრეთის დიალექტით. რუმინულ და მოლდავურ ენებში ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობა XIX საუკუნემდე ერთმანეთს ემთხვევა. მოლდავური ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებასთან ერთად შეიქმნა ლიტერატურული ნორმა. ლიტერატურული ნორმა მოლდავურ ენაში ხასიათდება უფრო მეტი ნასესხობებით რუსული ენიდან და სასაუბრო ენასთან უფრო მეტი სიახლოვით, ასევე ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურებებით. დღეს უკუპროცესს აქვს ადგილი. ამას ხელს უწყობს რადიო და ტელევიზია. თვით იტალიაში, სადაც ძალიან ბევრი დიალექტია, ხდება ერთგვარი ახალგაზრდების მეტყველების უნიფიცირება, განსაკუთრებით სამხრეთის აგრარული რეგიონებიდან სამრეწველო ჩრდილოეთის ქალაქებში. უფრო მეტად დიალექტზე სოფლის მოსახლეობა საუბრობს. დიალექტების გარდა არსებობს ადგილობრივი კილოკავები, რომლებზეც საუბრობს ერთი ან რამდენიმე დასახლებული პუნქტის მოსახლეობა.

რომანული ენების კლასიფიკაციის პრობლემა. რომანული ენები იყოფა ორ დიდ ჯგუფად : დასავლეთისა და აღმოსავლეთის ჯგუფებად. ეს კლასიფიკაცია გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ დიცმა გააკეთა XIX საუკუნეში. ამ კლასიფიკაციაში მხოლოდ 6 რომანული ენა შედიოდა : ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, პროვანსალური, იტალიური, რუმინული. იტალიურს და რუმინულს იგი მიაკუთვნებდა აღმოსავლეთის ჯგუფის ენებს. დღეს ადარ არის აუცილებელი, რომ რომანული ენები დასავლურ და აღმოსავლურ ჯგუფებად დავყოთ. ასეთი დაყოფის კრიტერიუმი ძირითადად ფონეტიკური, ნაწილობრივ მორფოლოგიური ხასიათის იყო. მაგალითად, მედერი ბგერების ჩართვა ანდა ინტერვოკალური თანხმოვნების შენარჩუნება ყრუ თანხმოვნების

სახით [პ, ტ, კ]. ლათინური ენიდან რომანულ ენებზე გადასვლის დროს ხდებოდა ყრუ ბგერების მედერი ბგერებით ჩანაცვლება. ლათინურში (სასაუბრო) პოტერეუსანურში პოდერ, პორტუგალიურში პოდერ, ფრანგულში პოუვოირ; სხვა ენებში ასეთ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. იტალიურში პოტერე, რუმინულში ა პუტეა. მრავლობით რიცხვში მამრობითი სქესის სახელებში შემორჩა დაბოლოება –ს-ი: ლათინურში პომინეს> ესპანურში პომბრეს, პორტუგალიურში პომენს, ფრანგულში პომმეს ანდა – ი, გვიანდელი პერიოდის ლათინურისაგან პომინი>იტალიურში უომინი, რუმინულში ოამენი. ფ. დიცის პრინციპის მიხედვით იტალიური და დალმატიური ენები აღმოსავლეთის ქვეჯგუფში მოხვდა, ხოლო სარდინიული კი თავისებურებებიდან გამომდინარე უნდა გადასულიყო დასავლურ ქვეჯგუფში. უფრო მიზანშეწონილია, რომ მოხდეს რომანული ენების დაყოფა დასავლურ და აღმოსავლურ ქვეჯგუფად თუკი მათ გრამატიკულ წეობაში განსხვავებას გავითვალისწინებთ. დასავლური ქვეჯგუფი ესპანურად ქუიერო ცანტარ; პორტუგალიურად ქუერო ცანტარ; იტალიურად ვოგლიო ცანტარ; ფრანგულად ჯე ვეუს ცანტერ. აღმოსავლურ ქვეჯგუფში რუმინული და მოლდავური ენებია. ენების დაყოფა დასავლურ და აღმოსავლურ ჯგუფებად არ ნიშნავს, რომ ენები, რომლებიც დასავლურ ქვეჯგუფში შედის სრულად ემთხვევა ერთმანეთს სტრუქტურულად. გარდა ამისა, ზოგიერთი დასავლურენათა ქვეჯგუფის დიალექტს შეიძლება საერთო ნიშნები ჰქონდეს იმ დიალექტებთან და ენებთან, რომლებიც შედის აღმოსავლურ ენათა ქვეჯგუფში.

რომანული ენების გაერთიანება ტერიტორიალური ერთიანობის პრინციპით განახორციელა კარლო ტალიავინიმ 40-იან წლებში. მან გამოყო 4 რომანული ზონა : იბერო-რომანული, გალი-რომანული, იტალო-რომანული და ბალკანო-რომანული. დღეს მას დაემატა რეტორომანული ზონა. ასეთი დაყოფა გამართლებული არაა, რადგან კატალონური და პროვანსალური ენები სხვადასხვა ჯგუფში აღმოჩნდა. რომანული ენებიდან ყველაზე მეტად ლათინურ ენას ჩამოშორდა ფრანგული., როგორც ფონეტიკურად, ისე გრამატიკული წეობით. ფრანგული ენის თავისებურებებიდან გამომდინარე არგენტინელმა ფილოლოგმა ამადო ალონსომ ენათა კლასიფიკაციაში მას განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა. ყველა დანარჩენს ენას ლათინურთან უფრო მეტი საერთო აქვს, ვიდრე ფრანგულს. ამადო ალონსომ სხვა ენები გაერთიანა სახელწოდებით “ლომანია ცონტინუა”(უწყვეტი რომანია), რომელშიც ფრანგული არ შეუტანია და ეს ენა დატოვა კლასიფიკაციის გარეშე.

რა იგულისხმება რომანული ენების სტრუქტურულ მსგავსებაში ? ის, რაც განასხვავებს რომანულ ენებს ლათინურისაგან თუ მათ აახლოვებს ერთმანეთთან? გამოხატვის ფორმების მიხედვით რომანულ ენებს გააჩნიათ ენობრივი სტრუქტურის დრმა შიდა მსგავსება. სტრუქტურული მსგავსება

არსებობს სინთეტიკური თუ ანალიტიკური ფორმების წყობაში. თანდათანობით რომანული ენები ლათინურის სინთეტური ფორმებიდან გადავიდა ანალიტურ ფორმებზე. ინდოევროპულ ენათა ჯგუფში სინთეტურ ენებად იწოდება ის ენები, რომლებშიც გრამატიკული კატეგორიები გამოიხატება სხვადასხვა ტიპის დაბოლოებებით. ანალიტიკურ წყობაზე საუბრობენ მაშინ, როდესაც გრამატიკული კატეგორიების გამოსახატავად მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამხმარე სიტყვები ისეთები, როგორებიცაა: წინდებულები, არტიკლები, დამხმარე ზმნები. რომანული ენები სწორედ ანალიტიკური ტიპის ენებს განეკუთვნება. უნდა აღინიშნოს, რომ სინთეტიკური წყობის ენებშიც გამოიყენება დამხმარე სიტყვები, ხოლო ანალიტიკური წყობის ენებში კი ფლექსია. უბრალოდ, უნდა განვსაზღვროთ რა როლს ასრულებს ისინი ენის წყობაში და კომუნიკაციის დროს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, თუ რა მიმართებაა რომანულ ენებს შორის სტრუქტურული მსგავსების თვალსაზრისით, არქაულობის ხარისხით ანუ მათი მსგავსებით ლათინურ პროტოტიპთან, ანდა რამდენად განსხვავდება ისინი ლათინურისაგან. რომანული ფორმების არქაულობა უნდა განხილულ იქნეს არა მათი ლათინურ ფორმებთან კავშირით, არამედ იმით, თუ რა ადგილი უკავიათ მათ თანამედროვე ენის სისტემაში. უნდა გავითვალიწინოთ ისიც, რომ ახალი ფორმების წარმოქმნა მუდამ ხდება და ის რაც დღეს ახალია, ხვალ შეიძლება არქაულ ფორმად იქცეს.